გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის №833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №107

ქ. გურჯაანი 2023 წელი 28 ივლისი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

ლერი გელენავა - კომისიის თავმჯდომარე, მერის პირველი მოადგილე, მერის მ/შ;
წევრები:
კონსტანტინე ბერიძიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
რამაზი ქიტიაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
ნატო გონგაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ნანა ჭაბუკაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
გიორგი ყვირალაშვილი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ;
ნინო ქაჩლიშვილი - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.
სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:
ნინო სტეფნაძე - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
ბიჭიკო მაისურაძე - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:
ელექტრონული ტენდერის საშუალებით **გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2023 წლის 15 ივნისის სტიქიის შედეგად, ჩამოტანილი ნატანისაგან ხევების (ს. გურჯაანი-ვაზისუბანი) კალაპოტების გაწმენდის მომსახურების** შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;

კომისიამ განიხილა:
სატენდერო კომისიამ განიხილა აპარატის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც მომზადებულია მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის #03-902320717 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. მომსახურების მიწოდების ვადა წარმოდგენილი მოხსენებითი 45 კალენდარული დღეა. ამავე მოხსენებითი ბარათით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის 30 ივნისის რეკომენდაციის გათვალისწინებით, განსაფასებელი ფასების ცხრილი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა ექვს პოტენციურ მომწოდებელს. განფასება წარმოადგინა ორმა მიმწოდებელმა. ბაზრის კვლევის შედეგად შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 226354 ლარს, რაც არ აღემატება მოკვლეული ფასების საშუალო არითმეტიკულს. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (7 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა

კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით **გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2023 წლის 15 ივნისის სტიქიის შედეგად, ჩამოტანილი ნატანისაგან ხევების კალაპოტების გაწმენდის მომსახურების** შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 226354 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით). მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვროს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 2200 ლარი.
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ"

ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.

3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: ლ. გელენავა

წევრები:

კ. ბერიძიშვილი

რ. ქიტიაშვილი

ნ. გონგაძე

ნ. ჭაბუკაძე

გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

სატენდერო კომისიის აპარატი:

ნ. სტეფნაძე

ბ. მაისურაძე